სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

19. 04. 2017 წელი

ეგზ. N2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N19/36

2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

შემოკლებანი **3**

ზოგადი ინფორმაცია **3**

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ **3**

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა **4**

აუდიტორის პასუხისმგებლობა **4**

პირობითი მოსაზრების საფუძვლები **5**

1. არაფინანსური აქტივები და წმინდა ღირებულება 5
2. არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრები 7
3. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 7
4. ძირითადი კაპიტალის მოხმარება 7
5. საცნობარო მუხლი 7

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ **8**

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები **8**

1. სახელმწიფო შესყიდვები 8
2. ადამიანური რესურსების მართვა 11
3. ბიუჯეტის შედგენა - შესრულება 11

ფინანსური ანგარიშგების ფორმები **13**

შემოკლებანი

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი;
- სსიპ -აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო - სააგენტო;
- სსიპ -ბათუმის მუსიკალური ცენტრი - მუსიკალური ცენტრი;
- სსიპ-ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - დრამატული თეატრი;
- სსიპ-აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი - სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი.

ზოგადი ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. სამინისტრო ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების წინაშე. დაფინანსების წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი. სამინისტროს სისტემა მოიცავს ცენტრალურ აპარატს (15 სტრუქტურული ერთეული), საქვეუწყებო დაწესებულებას (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი), საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და სამინისტროს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. სამინისტროს 2016 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 38 777, 8 ათას ლარს. იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა N4.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს აპარატისა და მის სახაზინო კოდში (05) შემავალი იურიდიული პირების ბალანსებს, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს, ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1. არაფინანსური აქტივები და წმინდა ღირებულება

გარემოება 1.1. დრამატულ თეატრს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან უსასყიდლოდ გადაეცა ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. N74-ში მდებარე 133,34 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი[1] 232,0 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულებით, მოძრავი ქონება[2] 11,4 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულებით, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები[3] 0,8 ათასი ლარის ღირებულებით და ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N18/20-ში მდებარე შენობა-ნაგებობის[4] ნაწილი 86,1 კვ.მეტრი. გადმოცემული ძირითადი აქტივები და მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივები თეატრის მიერ არ არის ასახული 2016 წლის ბალანსში[5].

გარემოება 1.2. ა(ა)იპ ,,ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსის“ მიერ, 2016 წელს ჩამოწერილია ბალანსიდან 23,3 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები (სხვა მანქანა-დანადგარები). ჩამოწერა განხორციელდა სპორტულ ფედერაციებთან 2014 წელს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე. აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სპორტულ ფედერაციებს ზემოთ აღნიშნული აქტივები ბალანსზე არ აქვთ ასახული და მხოლოდ სარგებლობის უფლებით არის გადაცემული, რასაც ადასტურებს საჩოგბურთო კომპლექსის 2014 წლის საინვენტარიზაციო მასალები.

გარემოება 1.3. სსიპ - აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმის“ დირექტორის 2016 წლის 19 დეკემბრის N16 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნით, ფაქტობრივად ადგილზეა და ინახება 7,6 ათასი ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივები, თუმცა აღნიშნული ნაშთი არ არის ასახული 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

გარემოება 1.4. სამინისტროსა და ა(ა)იპ „საქართველოს კულტურის ხელშეწყობის და განვითარების ფონდს“ შორის, 2016 წლის 10 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება[6] პროექტის „მეგობრობის პალიტრა“ ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მხარეებს შორის, 2016 წლის 24 ივნისს გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი, დადასტურებულია ხელშეკრულების პირობების შესრულება და სამინისტროზე გადაცემულია პროექტის ფარგლებში შექმნილი 18 მხატვრული ნამუშევარი, რომლის შეფასება და 2016 წლის ბალანსში ასახვა არ არის განხორციელებული[7].

გარემოება 1.5. სსიპ - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მიერ, არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან, შეძენილია 23,8 ათასი ლარის ღირებულების

---

[1] სამინისტროს მოთხოვნამდე დროებით გადაცემა.ბრძანება N01-03/103 23.06.2016წ. ს/კ 05.29.04.001.01.500.

[2] უსასყიდლოდ, არსებობის ვადით გადაცემა. ბრძანება N01-3/191 05.07.2016წ.

[3] უსასყიდლოდ, არსებობის ვადით გადაცემა. ბრძანება N01-3/191 05.07.2016წ.

[4] უსასყიდლოდ, არსებობის ვადით გადაცემა. წერილი N01-10/2735 29.06.2016წ . 596 კვ.მ ს/კ 05.21.06.003.01.502.

[5] შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, 23 -ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებთან.

[6] ხელშეკრულება N05-07/1, ღირებულებულებით 10,5 ათასი ლარი.

[7] შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 32 მუხლი.

არაფინანსური აქტივები, ბალანსის ფორმა N5-ში კი ასახულია 9,2 ათასი ლარის[8] აქტივების მიღება, 14,6 ათასი ლარით ნაკლები.

გავლენა: სამინისტროს და მის სახაზინო კოდში შემავალი იურიდიული პირების მიერ, 2016 წლის ბალანსში შემცირებულად არის წარმოდგენილი არაფინანსური აქტივები, არანაკლებ 289,7 ათასი ლარით, ხოლო წმინდა ღირებულება, არანაკლებ 281,3 ათასი ლარით.

გარემოება 1.6. სსიპ - ქ. ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, ფორმა N5-ის მიხედვით, შეძენილი აქვს 4,1 ათასი ლარის მატერიალური მარაგები, რომელიც შემდგომში გადატანილია საცნობარო მუხლში და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება ნაშთად. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმდინარე პერიოდში ფაქტობრივად შეძენილია 1,6 ათასი ლარის აქტივები, ხოლო სხვაობა 2, 5 ათასი ლარის აქტივები შეძენილია წინა პერიოდში და ბალანსის ფორმა N1-ში ასახულია წლის დასაწყისისთვის არსებულ ნაშთად[9].

გარემოება 1.7. ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს," 2016 წლის ბალანსზე აღებული აქვს შემოსავალში 7,5 თასი ლარის ღირებულების დასაკრავი ინსტრუმენტები, მათ შორის 0,8 ათასი ლარი ასახულია ძირითადი აქტივების შემადგენლობაში როგორც გრანტი, ხოლო 6,7 ათასი ლარის ასახულია გრძელვადიანი აქტივების შემადგენლობაში. მიღებული აქტივების აღდგენა-შეკეთებისთვის კი დამატებით გაწეულია 1,0 ათასი ლარის ხარჯი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ აღნიშნული აქტივები ფაქტობრივად არ მიეკუთვნება ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის" საკუთრებას და ის ფიზიკური პირის მიერ დროებით[10], უკან გატანის პირობით არის გადმოცემული[11].

გავლენა: სამინისტროს სახაზინო კოდში შემავალი იურიდიული პირების მიერ, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების შეძენა ჯამში 9,9 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

გარემოება 1.8. მუსიკალურ ცენტრს, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ანგარიშზე, აღრიცხული აქვს სხვადასხვა წელს მიღებული 32,9 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების ძირითადი აქტივები[12].

გავლენა: მუსიკალურ ცენტრს, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი აქტივები 32,9 ათასი ლარით შემცირებულად, ხოლო გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები გაზრდილად აქვს წარმოდგენილი.

---

[8] მატერიალური მარაგები 7,3 ათასი ლარი. ძირითადი აქტივები 0,2 ათასი ლარი. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები 0,5 ათასი ლარი, ფასეულობები 1,1 ათასი ლარი.

[9] შეუსაბამოა ,,ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან.

[10] კახაბერ ფირცხალაიშვილი. თხოვების ხელშეკრულება ორი წლის ვადით N1 20.10.2016წ.

[11] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის 43-ე მუხლის შესაბამისად საცნობარო მუხლში „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები" (02) – აღირიცხება ორგანიზაციის მიერ დროებით, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობანი.

[12] კონდიციონერები, საბუღალტრო პროგრამა „ორისი", ქსელური ციფრული ვიდეოკამერები, სასცენო კაბები და ა.შ.

2. არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრები

გარემოება 2.1. სსიპ - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მიერ, არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან, წლის დასაწყისში არსებული ფულადი სახსრების ნაშთი 10,3 ათასი ლარი, ასახულია როგორც მიმდინარე პერიოდის შემოსავალი. სახაზინო სამსახურის მონაცემებით, მუზეუმის არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული შემოსავლები შეადგენს 81,0 ათას ლარს, ფაქტობრივად კი ბალანსში ასახულია 64,9 ათასი[13] ლარის შემოსავლები, 14,6 ათასი ლარით ნაკლები.

გავლენა: სსიპ - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მიერ, 2016 წლის ბალანსში წლის დასაწყისში არსებული ფულადი სახსრების ნაშთი 10,3 ათასი ლარით და არასაბიუჯეტო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები 14,6 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

3. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება 3.1. ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის“ მიერ, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით, მიმდინარე საჭიროებისთვის შეძენილია[14] 6,5 ათასი ლარის ღირებულების აქტივები (ჭურჭელი), რომელიც შემდგომში საჩუქრის სახით გადაცემულია[15] თანამშრომლებზე და ჩამოწერილია ხარჯებში.

გავლენა: ა(ა)იპ ,,მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის“ მიერ, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი 6,4 ათასი ლარით გაზრდილად, ხოლო აქტივების ნაშთი შემცირებულად არის წარმოდგენილი.

4. ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება 4.1. სსიპ-ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიერ, ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ცვეთა) სახით გაწეული ხარჯები შეადგენს 35,8 ათას ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ გაწეული ხარჯიდან 2,9 ათასი ლარის ხარჯი შეადგენს მცირეფასიან ინვენტარზე დარიცხულ ცვეთას[16].

გავლენა: სსიპ-ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიერ, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯები 2,9 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

5. საცნობარო მუხლი

გარემოება 5.1. ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სასპორტო სკოლას“, 2016 წლის ინვენტარიზაციის მასალებით, ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში ირიცხება ნულოვანი ნარჩენი

---

[13] მატერიალური მარაგები 7,3 ათასი ლარი. ძირითადი აქტივები 0,2 ათასი ლარი. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები 0,5 ათასი ლარი. ფასეულობები 1,1 ათასი ლარი.

14 ხელშეკრულება N 51. შპს,, ალიკა“ 3,6 ათასი ლარი. შპს ,,ლუნა“ 2.8 ათასი ლარი.

[15] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N 672 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ (2210) მუხლით არ არის გათვალისწინებული თანამშრომლების დასაჩუქრების ხარჯები.

16 შეუსაბამობაშია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნებთან.

ღირებულებით, ისტორიული ღირებულების, ამორტიზირებული 189,1 ათასი ლარის ძირითადი აქტივები. აღნიშნული აქტივები არ არის ასახული[17] 2016 წლის ბალანსის საცნობარო მუხლში.

გარემოება 5.2. სსიპ-აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 2016 წლის ინვენტარიზაციის მასალებით, ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში ირიცხება ნულოვანი ნარჩენი ღირებულებით, ისტორიული ღირებულების, ამორტიზირებული 5,5 ათასი ლარის ძირითადი აქტივები. აღნიშნული აქტივები არ არის ასახული 2016 წლის ბალანსის საცნობარო მუხლში .

გარემოება 5.3. სსიპ -აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმის“ 2016 წლის ბალანსის საცნობარო მუხლში, ნაშთად ნაჩვენებია 9,6 ათასი ლარის ექსპლუატაციაში მყოფი, ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ნაშთი. წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით კი ფაქტობრივი ნაშთი შეადგენს 7,6 ათას ლარს.

გავლენა: სამინისტროს სახაზინო კოდში შემავალ იურიდიულ პირებს, 2016 წლის ბალანსში, საცნობარო მუხლი ორ შემთხვევაში 194,6 ათასი ლარით შემცირებულად და ერთ შემთხვევაში 2,0 ათასი ლარით გაზრდილად აქვთ წარმოდგენილი.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატის და მის მიერ კონტროლირებული იურიდიული პირების ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

1. **სახელმწიფო შესყიდვები**

❖ სამინისტროს პროგრამის - „ფოლკლორის ხელშეწყობის“ ფარგლებში (SPA 160000186), ი/მ ,,ირმა დიასამიძესთან“ 2016 წლის 28 ივლისს გაფორმებულია N166 ხელშეკრულება, 100,0 ათასი ლარის ღირებულების ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის სასცენო კოსტიუმების მიწოდებაზე. სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ანგარიშსწორება[18] განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედნადებისა ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. ხელშეკრულების[19] თანახმად, შემსყიდველის მიერ არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, თუ მიმწოდებლის მიერ სრულად არ იქნა შესრულებული ხელშეკრულების ვალდებულებები[20].

[17] შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებთან.

[18] ხელშეკრულების მე-6 ნაწილის 6.2 პუნქტი.

[19] ხელშეკრულების 5.7 პუნქტი.

[20] ხელშეკრულების 4.5 პუნქტი. შემსყიდველს შესყიდვის საგანი უნდა მიეწოდოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური მახასიათებლებისა და თანდართული ფაილის ,,ესკიზების'' შესაბამისად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ანსამბლის წევრთათვის სასცენო კოსტიუმების მორგება.

აუდიტის პერიოდში, მხარეებს შორის გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი და გადახდილია 70,5 ათასი ლარი. წარმოდგენილ დოკუმენტებში[21] არ არის იდენტიფიცირებული მიწოდებული კოსტიუმების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა[22], ხოლო შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალი არ არის ავტორიზებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ[23].

❖ ,,ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობის და პოპულარიზაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში - ,,ტურისტული სააგენტოები და მსგავსი მომსახურების“[24] კოდით, გაწეულია 319,9 ათასი ლარის ხარჯი, რომელიც მოიცავს შემოქმედებითი კოლექტივების ღონისძიებებში მონაწილეობისთვის გასაწევ ხარჯებს[25], აქედან რვა შემთხვევაში პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარი, სამინისტროს სისტემაში შემავალი იურიდიული პირია, რომლებზეც გაწეულია 79,7 ათასი ლარის[26] ხარჯი და შინაარსიდან გამომდინარე, მიეკუთვნება მივლინების ხარჯებს.

❖ სამინისტროსა და შპს ,,იდეალ გლობალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება[27] ითვალისწინებდა 400 ერთეული, 220 გვერდიანი სანოტო კრებულის - „აჭარული ტრადიციული მუსიკა“, მიწოდებას[28]. სახელშეკრულებო ღირებულება, 12,4 ათასი ლარი გადახდილია მიმწოდებელზე სრულად. წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების (0280226021) მიხედვით ირკვევა, რომ მიწოდებულია 400 ერთეული, 202 გვერდიანი ,,აჭარული ხალხური სიმღერები“[29].

❖ სააგენტოსა და შპს „მარკას“ შორის, 2016 წლის 25 აპრილს გაფორმებულია N49 ხელშეკრულება (SPA 160010597), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე[30] არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების 7,0 ათასი ცალი გზამკვლევის, ელექტრონული და ბეჭდური ვერსიების მომზადება-მიწოდებასთან დაკავშირებით, რისთვისაც გადახდილი იქნა 79,4 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის[31] მიხედვით, თითოეულ გამოცემას უნდა ერთვოდეს მუნიციპალიტეტების რუკა, ტერიტორიაზე განთავსებული ძეგლების მითითებით და მინიმუმ 2 საინტერესო მარშრუტის მონიშვნით, ხოლო ბროშურები აკინძული უნდა იყოს თერმულად, შიგთავსის შეკერვით. წარმოდგენილი მტკიცებულებებით[32] ირკვევა, რომ მიწოდებულ გზამკვლევში ყველა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ არის დატანილი, ხოლო თერმულად არ არის აკინძული 5 ათასი ცალი.

❖ მუსიკალურ ცენტრში იურისტის შტატით დასაქმებული პირი[33], იმავდროულად დასაქმებულია შტატგარეშედ იურისტის თანაშემწის თანამდებობაზე. აღნიშნულ პირთან, ორივე

---

[21] მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები ელ-0266651098-11.10.2016წ; ელ-0267731228- 16.10.2016წ; ელ-0280229391 23.12.2016წ.

[22]არ არის მითითებული ქორეოგრაფიული ანსამბლების მიხედვით ქალის და მამაკაცის სასცენო კოსტიუმები. მითითებულია მხოლოდ შარვალი, აზიური, კაბა მოსასხამით, ჩოხა და სხვა.

23 აუდიტის პერიოდში, სამინისტროს მიერ წარმოდგენილია სასცენო კოსტიუმების შემადგენლობაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა და შემოქმედებით კოლექტივებზე კოსტიუმების სრულყოფილად გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები.

[24] შესყიდვის კატეგორია 63500000 .

25 ტრანსპორტის, მგზავრობის, ღამისთევის, კვების ხარჯები და სხვა.

26 მგზავრობა 52,14 ათასი ლარი, ღამისთევა 12,9 ათასი ლარი, კვება 10,8 ათასი ლარი, დღგ 3,7 ათასი ლარი.

[27] N257- 8.12.2016წ. SPA 160003742

[28]სანოტო კრებულის ,,აჭარული ტრადიციული მუსიკა“ მომზადება გამოსაცემად, ბეჭდვა და მიწოდება.

29 სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მხარეებს შორის ზეპირი შეთანხმებით დაზუსტდა წიგნის სახელწოდება და ნაცვლად ,,აჭარული ტრადიციული მუსიკისა“ ეწოდა „აჭარული ხალხური სიმღერები“.

[30] ქ. ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტი.

[31] სატენდერო დოკუმენტაციის მე-2 პუნქტი.

[32] სააგენტოს წერილობითი განმარტება, გზამკვლევის ნიმუშის ასლი.

33 ეკატერინე მაკარაძე.

შემთხვევაში გაფორმებულ ხელშეკრულებაში[34], არ არის იდენტიფიცირებული რა საქმიანობის განხორციელება ევალებოდა შტატით და შტატგარეშედ დასაქმებულ ერთი და იგივე პირს. აღნიშნული თანამშრომლის შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია - შტატით 14,8 ათასი ლარი, ხოლო შტატგარეშედ 6,0 ათასი ლარი.

❖ მუსიკალურ ცენტრს საშტატო განრიგით[35] დასაქმებულ პირთა მიმართ, შრომის ანაზღაურების დარიცხვა-გაცემა არაერთგვაროვანი მიდგომით აქვს განხორციელებული. კერძოდ, 338 საშტატო ერთეულიდან, 185 საშტატო ერთეულზე დამტკიცებულია თანამდებობრივი სარგო, ხოლო 153 საშტატო ერთეულზე[36], საშტატო განრიგით თანამდებობრივი სარგო არ არის განსაზღვრული და შრომის ანაზღაურების დარიცხვა-გაცემა წარმოებს შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელის[37] მოხსენებითი ბარათის და დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

❖ ა(ა)იპ ,,ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის“ მიერ, ოფისის ხარჯების მუხლით, სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოებისთვის[38], ფიზიკურ პირ რამინ წულუკიძეზე გადახდილია 2,1 ათასი ლარი. შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით და შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი[39]. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 2014 წელს დასრულებული სკოლის შენობის კაპიტალური რემონტის ხელშეკრულების[40] პირობები ითვალისწინებდა შესრულებული სამუშაოების სამწლიან საგარანტიო ვადას (2017 წლის 13 მარტი), თუმცა სკოლის მიერ აღნიშნული პირობის გათვალისწინება წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

❖ მუსიკალურ ცენტრსა და ი/მ მამუკა ჯღარკავას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება[41] სამშენებლო მასალებისა და შენობის დასრულების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით. ცაკლეული CPV-ით კოდით გათვალისწინებული მასალებისა და შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებები ხელშეკრულებაში მითითებული არ არის, ხოლო ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებლად წარმოდგენილია მხოლოდ ფორმა N2, სადაც არ არის იდენტიფიცირებული CPVკოდით მიწოდებული მასალები და გაწეული მომსახურების ღირებულება[42].

❖ 2016 წელს მუსიკალური ცენტრის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის[43] შედეგების მიხედვით, როკ-ოპერა „ქეთო და კოტეს“ დეკორაციები და რეკვიზიტები, ღირებულებით 184,1 ათასი ლარი, ინახება სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, თუმცა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მოცემული აქტივების საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში შენახვას, წარმოდგენილი არ არის. ამასთან, წარმოდგენილი

[34] 2016 წლის 1 იანვრის ხელშეკრულება
[35] 2016 წლის 6 იანვრის N1/01-03 ბრძანება
[36] ორკესტრის მსახიობები, კაპელის მსახიობ- მომღერლები, სოლისტები და ა.შ
[37] სამი შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ, ერთ შემთხვევაშია წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი
[38] ხელშეკრულება N20 13.10.2016წ.
[39] ფასადის სამღებრო სამუშაოები, სანიტარული კვანძების სარემონტო სამუშაოები.
[40] N24 19.09.2013წ (spa 130018573).
[41] N224 9.11.2016წ. ღირებულება 21,2 ათასი ლარი. სამშენებლო მასალების და დამხმარე მასალების (CPV-44100000), კონსტრუქციების და მათი ნაწილების (CPV -44212300), კაბელები, მავთულების და მათთან დაკავშირებული მასალების (CPV 44300000) სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები (CPV -44400000), შენობის დასრულების სამუშაოები (CPV 45400000)
[42] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, „ჩ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა
[43] 2016 წლის 30 ნოემბრის N211/01-07 ბრძანება ინვენტარიზაციის თაობაზე.

დოკუმენტებით[44] ირკვევა, რომ აღნიშნული ქონება წარმოადგენს, 2012 წლის 15 თებერვალს შპს ,,ბიზნეს პროტოკოლი პლიუსზე“ სასყიდლიანი იჯარით[45] გაცემული ქონების ნაწილს, რომელიც უნდა დაბრუნებულიყო 2012 წლის 31 მაისამდე სრულად, რაც დღემდე არ განხორციელებულა.

2. ადამიანური რესურსების მართვა

სამინისტროს აპარატის საშტატო განრიგით დამტკიცებულია 62 საშტატო ერთეული, ფაქტობრივად დასაქმებულია 61 თანამშრომელი, ვაკანსია შეადგენს 1 საშტატო ერთეულს[46]. შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა შეადგენს 7 ერთეულს.

- **შრომის ანაზღაურება**

2016 წელს სამინისტროს აპარატის შრომის ანაზღაურების მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 1 224,9 ათასი ლარი, მათ შორის თანამდებობრივი სარგო 695, 2 ათასი ლარი, პრემია 171,9 ათასი ლარი და დანამატი 357,7 ათასი ლარი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საშტატო განრიგის რიცხოვნობა გაზრდილია 4 ერთეულით[47] და შეადგენს 62 საშტატო ერთეულს. თანამდებობრივი სარგო გაზრდილია 27,9 ათასი ლარით, პრემია გაზრდილია 15,5 ათასი ლარით, ხოლო დანამატი გაზრდილია 13,9 ათასი ლარით. აუდიტის პერიოდში, აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე ყოველთვიურად გაცემულია დანამატი თანამდებობრივი სარგოს 40%დან 75%-მდე ოდენობით, დაკავებული თანამდებობების შესაბამისად. დანამატის ზღვრული მოცულობები განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 20 იანვრის N4 განკარგულებით. მოქმედი რეგულაციებიდან გამომდინარე, დანამატები შეიძლება გაიცეს სათანადო გარემოებების არსებობისას, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, არაუმეტეს განსაზღვრული ზღვრული მოცულობებისა. აუდიტის ობიექტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი დანამატების გაცემის მატერიალური კანონიერების (ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების) დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება.

- **შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება**

სამინისტროს აპარატის 2016 წლის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 68,6 ათასი ლარი. 2016 წლის განმავლობაში, სხვადასხვა პერიოდულობით, შტატგარეშე მოსამსახურის მოვალეობებს ასრულებდა 7 პირი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შტატგარეშედ დასაქმებულ პირთა რაოდენობა შემცირებულია ერთი ერთეულით.

3. ბიუჯეტის შედგენა - შესრულება

ხარჯები

სამინისტროს აპარატის 2016 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით, გათვალისწინებულია 14 964,2 ათასი ლარის საკასო ხარჯის გაწევა. ფაქტობრივად გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 13 823,4 ათას ლარს (გეგმის 92,4%). ცალკეული კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული საკასო ხარჯები შემდეგია:

---

[44] მუსიკალური ცენტრის წერილი N51700212698 6.03.2017წ.

[45] ქ. ბათუმში, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის, დიდი საკონცერტო დაბრაზის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით, ვიქტორ დოლიძის საოპერო სპექტაკლის „ქეთო და კოტეს“ დადგმის სასცენო კოსტიუმების, დეკორაციების და საკონცერტო მიკროფონების იჯარა. ხელშეკრულების მიხედვით, იჯარით გაიცა 316.5 ათასი ლარის ქონება.

[46] მთავარი სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტში.

[47] მთავარი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო 0,825 ათასი ლარი, დანამატი 0,330 ათასი ლარი.

შრომის ანაზღაურება

საკასო ხარჯი 1 224,9 ათასი ლარი (გეგმის 100%), მათ შორის თანამდებობრივი სარგო 695, 2 ათასი ლარი, პრემია 171,9 ათასი ლარი და დანამატი 357,7 ათასი ლარი. გაცემული პრემია და დანამატი თანამდებობრივი სარგოს 76,1%-ია.

საქონელი და მომსახურება

საკასო ხარჯი 344,3 ათასი ლარი (გეგმის 85,8 %), მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება -68,6 ათასი ლარი, მივლინება - 34,4 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები - 79,4 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯი -13,7 ათასი ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები -65,3 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 81,2 ათასი ლარი, სამედიცინო ხარჯი - 0,7 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების ხარჯი - 0,9 ათასი ლარი.

გრანტი

საკასო ხარჯი 3470,0 ათასი ლარი (გეგმის 97,6%). სსიპ-ების დაფინანსება განხორციელდა პროგრამის ფარგლებში, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის და სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის.

სოციალური უზრუნველყოფა

საკასო ხარჯი 18,9 ათასი ლარი (გეგმის 100 %). აღნიშნული მუხლით დაფინანსებულია სამინისტროს აპარატის თანამშრომელთა შრომისუუნარობის ხარჯები 12,9 ათასი ლარით და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დაკრძალვის ხარჯები 6,0 ათასი ლართ.

სხვა ხარჯები

საკასო ხარჯი 8 751,0 ათასი ლარი (გეგმის 89,9 %). აღნიშნული მუხლით დაფინანსებულია სამინისტროს პროგრამები და ღონისძიებები.

არაფინანსური აქტივები

საკასო ხარჯი 12,3 ათასი ლარი (გეგმის 58,5 %). დაზუსტებული ბიუჯეტის შეუსრულებლობა გამოწვეულია ტენდერის შედეგად პრეტენდენტების მიერ ფასების შემცირებით.

წამყვანი აუდიტორი/ჯგუფის ხელმძღვანელი/ ნადიმ ბოლქვაძე

წამყვანი აუდიტორი გოჩა შარაბიძე

აუდიტორი მაია მუჯირიშვილი

აუდიტორ-ასისტენტი რამაზ დიასამიძე

19.04.2017წ.

ფინანსური ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის ბოლოს
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
200	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	244059	524241
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
220	გადახდილი დღგ	1356		
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
250	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
260	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
270	მოთხოვნები ბარტერით	1410		
280	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	1696587	900404
300	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
320	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
330	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460	1358	0
350	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	76203	149803
360	გრძელვადიანი სესხები	1510		
370	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
380	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
400	სტრატეგიული მარაგები	1610		
410	სხვა მატერიალური მარაგები	1620	166568	137211
420	შენობა-ნაგებობები	2110	326486	322373
430	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	214781	180341
440	სხვა ძირითადი აქტივები	2130	13945	87162
450	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141		
460	საოპერაციო ოჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142		
470	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	61138	62908
480	ფასეულობები	2300		
490	არაწარმოებული აქტივები	2400	95008	95008
	ბალანსი		**2896133**	**2459451**

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
500	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
510	საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	236887	29929
520	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	159	159
530	ვალდებულებები ბარტერით	3230		
540	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
550	გადასახდელი დღგ	3242		
560	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
570	სხვა გადასახდელები	3244		
580	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3245	268999	549181
590	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
600	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
620	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
680	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
690	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
700	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
710	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
720	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდბულებები	3320		
730	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
740	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
750	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II.კაპიტალი				
760	წმინდა ღირებულება	5100	2390088	1880182
770	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
780	გაუნაწილებელი მოგება	5220		
790	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი		**2896133**	**2459451**
III. საცნობარო მუხლები				
800	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01		
810	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
820	გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
830	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	1913	2367
840	პირობითი მოთხოვნები	05		
850	პირობითი ვალდებულებები	06		
860	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
870	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	89448	101050
880	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09		
890	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	32420	32420
900	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11		
910	საბანკო გარანტიები	12		

ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ბალანსის დანართი ფორმა #2

სტროქონის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	**1. ხარჯები**	**2**	**14984500**	**14941411**	**13809400**	**13809400**	**13809400**	**14244621**	**435221**
020	**1.1 შრომის ანაზღაურება**	**21**	**1240900**	**1231543**	**1224974**	**1224974**	**1224974**	**1224974**	**0**
030	**1.1.1 ხელფასები**	**211**	1240900	1231543	1224974	1224974	1224974	1224974	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	1240900	1231543	1224974	1224974	1224974	1224974	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111			695225	695225	695225	695225	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	1.1.1.1.3 პრემია	21113			171986	171986	171986	171986	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114			357763	357763	357763	357763	0
120	**1.2 საქონელი და მომსახურება**	**22**	**400430**	**401241**	**344363**	**344363**	**344363**	**399762**	**55399**
130	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**221**	63890	68890	68623	68623	68623	68623	0
140	1.2.2 მივლინებები	**222**	44440	44440	34370	34370	34370	35729	1359
150	1.2.3 ოფისის ხარჯები	**223**	101395	101206	79412	79412	79412	78272	-1140
160	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	**224**	23000	23000	13739	13739	13739	13739	0
170	1.2.5 კვების ხარჯები	**225**							
180	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	**226**	1000	1000	770	770	770	770	0
190	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	**227**	905	905	905	905	905	0	-905
200	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	**228**	71000	71000	65330	65330	65330	74927	9597
210	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	**229**							
220	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**2210**	94800	90800	81214	81214	81214	127702	46488
230	**1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება**	**23**						59727	59727
240	**1.4 პროცენტი**	**24**							
320	**1.5 სუბსიდიები**	**25**							**0**
330	**1.6 გრანტები**	**26**	**3555000**	**3555000**	**3470084**	**3470084**	**3470084**	**3470084**	**0**
400	**1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს**	**263**	3555000	3555000	3470084	3470084	3470084	3470084	0
410	1.6.3.1 მიმდინარე	2631			1874697	1874697	1874697	1874697	0
420	1.6.3.2 კაპიტალური	2632			1595387	1595387	1595387	1595387	0
430	**1.7 სოციალური უზრუნველყოფა**	**27**	**0**	**18907**	**18903**	**18903**	**18903**	**18903**	**0**

440	**1.7.1 სოციალური დაზღვევა**	**271**	0	0	0	0	0	0	0
470	**1.7.2 სოციალური დახმარება**	**272**	0	6000	6000	6000	6000	6000	0
480	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721		6000	6000	6000	6000	6000	0
500	**1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება**	**273**	0	12907	12903	12903	12903	12903	0
510	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731		12907	12903	12903	12903	12903	0
530	**1.8 სხვა ხარჯები**	**28**	**9788170**	**9734720**	**8751076**	**8751076**	**8751076**	**9071171**	**320095**
590	**1.8.2 სხვადასხვა ხარჯები**	**282**	**9788170**	**9734720**	**8751076**	**8751076**	**8751076**	**9071171**	**320095**
600	1.8.2.1 მომდინარე	2821			3107113	3107113	3107113	3664496	557383
610	1.8.2.2 კაპიტალური	2822			5643963	5643963	5643963	5406675	-237288

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		ბიუჯეტგარეშე	
	გეგმით	ფაქტიურად*	გეგმით	ფაქტიურად*
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	63	68	0	0
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	7	7	0	0

ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ
ბალანსის დანართი ფორმა №2-1

სტრიქონის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	**1. არაფინანსური აქტივები**	**31**	**21000**	**21000**	**12279**	**12279**	**12279**
020	**1.1 ძირითადი აქტივები**	**311**	**21000**	**21000**	**12279**	**12279**	**12279**
150	**1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი**	**3112**	**0**	**0**	**12279**	**12279**	**12279**
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122			12279	12279	12279
230	**1.2 მატერიალური მარაგები**	**312**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
300	**1.3 ფასეულობები**	**313**					
310	**1.4 არაწარმოებული აქტივები**	**314**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**

ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა #2-2

სტრიქონის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	**1. ფინანსური აქტივები**	**32**					
180	**1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება**	**323**					
190	**2. ვალდებულებები**	**33**	**0**	**1789**	**1789**	**1789**	**1789**
200	**2.1 საშინაო**	**331**	**0**	**1789**	**1789**	**1789**	**1789**
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318	0	1789	1789	1789	1789
280	**2.2 საგარეო**	**332**					

ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ
ბალანსის დანართი ფორმა №3

ანგარიშის №	დებეტი	თანხა	ანგარიშის№	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	**2390088**
7100	**მომუშავეთა ანაზღაურება**	**1224974**	**4100**	**ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება**	**13817468**
7200	**საქონელი და მომსახურება**	**399762**	**4200**	**ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად**	**6000**
7300	**ძირითადი კაპიტალის მოხმარება**	**59727**	**6000**	**შემოსავლები**	**621**
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	**59727**	**6300**	მ.შ. გრანტები	**621**
7400	**პროცენტი**				
7500	**სუბსიდიები**				
7600	**გრანტები**	**3470084**			
7700	**სოციალური უზრუნველყოფა**	**18903**			
7800	**სხვა ხარჯები**	**9071171**			
8200	**არასაოპერაციო ხარჯები**		**8100**	**არასაოპერაციო შემოსავლები**	**4888**
3245	**ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები ***	**94262**			
	სადებეტო ბრუნვა	**14338883**		**საკრედიტო ბრუნვა**	***13828977***
	სულ ჯამი:**	**14338883**		**სულ ჯამი:*****	***16219065***
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			**ნაშთი პერიოდის ბოლოს**	***1880182***

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა №5

	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მ ი ღ ე ბ ა					გასვლა				ნაშთი წლის(პერიოდის თვის) ბოლოს
			შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის გადახდებით	ბარტერით	არასაპერციო შემოსავლებით	გრანტებით	სხვა ხარჯებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	*სხვა გასვლები	
010	**1. მატერიალური მარაგები**	**166568**	**29540**	**192675**	**0**	**4888**	**21**	**234951**	**0**	**21530**	**0**	**137211**
020	1.1. სტრატეგიული მარაგები											0
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები	**166568**	**29540**	**192675**	**0**	**4888**	**21**	**234951**	**0**	**21530**	**0**	**137211**
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები			3682						3682		0
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	166568	29540	188993		4888	21	234951		17848		137211
110	**2. ძირითადი აქტივები**	**555212**	**81510**	**12279**	**0**	**0**	**600**	**0**	**59725**	**0**	**0**	**589876**
120	2.1 შენობა-ნაგებობები	**326486**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**4113**	**0**	**0**	**322373**
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები											0
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	**310226**							3946			306280
210	2.1.9 სხვა შენობა-ნაგებობები	16260							167			16093
240	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	**214781**	**0**	**12279**	**0**	**0**	**600**	**0**	**47319**	**0**	**0**	**180341**
250	2.2.1სატრანსპორტო საშუალებები	135210							25797			109413
260	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	79571		12279			600		21522			70928
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	**13945**	**81510**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**8293**	**0**	**0**	**87162**

280	2.3.1 კულტივირებული აქტივები											0
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	13945	81510						8293			87162
330	**3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები**	**61138**		**1770**								**62908**
340	**4. ფასეულობები**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
380	**5. არაწარმოებული აქტივები**	**95008**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**95008**
390	5.1 მიწა	95008										95008

ბალანსის დანართი ფორმა №6

	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება	საანგარიშო პერიოდში გასვლა	საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
		რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	რაოდენობა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
1	**სატრანსპორტო საშუალება სულ:**	**6**	**135210**	**0**	**0**	**60256**	**23921**	**32653**	**3682**	**69853**	**33518**	**32653**	**3682**
	მათ შორის												
1.1	*მსუბუქი*	**4**	**73147**			**45266**	**18193**	**24505**	**2568**	**47455**	**20382**	**24505**	**2568**
1.2	*ჯიპები და პიკაპები*	**2**	**62063**			**14990**	**5728**	**8148**	**1114**	**22398**	**13136**	**8148**	**1114**
1.3	*სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები*												
1.4	*სატვირთო*												